

140 / 2
1940

საქართველო
შრომითი

სიბუნება



1940

NO



პიონერი

საქ. აღკვ ცენტრალური კომიტეტისა და
საქ. განსჯომის ეკითხვიური შუანალი
სექტემბერი 1940 წ. № 9

„ПИОНЕРИ“ журнал Центрального Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии.

გამომცემლობა „კომუნისტა“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3-02-61.

შინააქსი

	გვ.
1. ანდრო თიფჩაძე—პირველი დილა (ლექსი)	1
2. სამი ხალი რესპუბლიკა—(ნარკვევი)	2
3. შაპარო სანადარშილი—დიდება შრომას (ლექსი)	3
4. ლადო ბალიაშვილი—სასჯელი (მოთხრობა)	3
5. საბირი—ეკინი (ლექსი, თარგმანი—მარიკა მიქელაძისა)	8
6. აპაკი გოციჩიძე—ფედია (მოთხრობა)	9
7. ვ. პიშვაცი—ლომი, დათვი და მელა (თარგმანი ლ. კარაპეტიაჩისა)	11
8. ნინო ტყეშელაშვილი — ასლამაზა (ზღაპარი)	12
9. ოსპარ უაილი — ვარსკვლავის შვილი (ზღაპარი, თარგმანი თ. თუშმალიშვილისა და მ. ყიფშიძისა)	15
10. ი. ე. რეპინი (წერილი)	გარეკანის მე-3 გვ.
11. გასართობი	გარეკანის მე-4 გვ.

ფურცლის დასურათება და ყდის მხატვრობა
ვერთენის მხატვარი ი. ქიქიაშვილს.

გაზსუნისმგებელი რედაქტორი—ან. დუღარაძე

გაზსუნისმგებელი მდივანი—ნ. სიბილაძე

გადაეცა წარმოებას 30, IX 1940 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/X 1940 წ.

ქალაქის ზომა 62x92
ფორმათა რაოდენობა 20 გვ. 9¹/₂x14

შე—1862 შეკვ. (Заказ) № 1158. ტირაჟი (Тираж) 14.650

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
Полиграфкомбинат „Комунисти“, имени Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 28.

სალამი, სკოლაჲ საყვარელო,
კვლავ შენ დაგიბრუნდით, ხუენო მშობლო!

349.

პირვედი დიდა

ანერო თეზეაჲ



გვირული სამეხაზი, რომელსაც
საბოტაჲ კვიჲის მფროველთა მი-
ლიონეზი კვიჲინ, ახალი ძალით
ალგაფროტოვანეზი თჲვეს ფრია-
დონანი სწავლისათვის ახალ სს-
წავლო წელს. მოსაფთა გვირგა
და სიმატე — ეს „ფრიაღმა“ სწავ-
ლაა. ეს იმს ნიშნავს, რომ გჲონ-
დეს 5 — მათემატიკაში, 5 — გეოგრა-
ფიაში, 5 — დედაწავში, 5 — ისტო-
რიაში, გჲონდეს 5 თითოეულ სა-
ბანში.

ლავკინტი გვირა.

1936 წ. 29 აგვისტო.



მაშინ აღგა, როცა მზემ
გაღმობიედა მითებიდან.
სკოლისკენ მიდის, მიფრინავს
თითქოს მერცხალის ფრთებითა.



ზადაგზა შეხედა ტოლ-სწორებს,
მიესაღმენ და მიდიან,
ზოგს ხელით მიაქვს წიგნები,
ზოგს ზურგზე ჩანთა ჰკიდია.




სკოლის შენობაც გამოჩნდა,
ვით დედა გახარებული,
შეგოხვევია გარშემო
ბედნიერ ბავშვთა კრებული.



შეუერთდა სხვა ბავშვებს
ცისანა სახეცქრიალა.
ცოტახანს გაითამაშეს
და ზარმაც დიწქრიალა.



მევიდნენ, დასდნენ, დაწუნარდნენ,
ცოცხლად ანთებენ თვალებსა;
მასწავლებელიც მოვიდა
და ბავშვებს მიუაღერსა.





წინათ ლიტვა, ლატვია და ესტონეთი რუსეთის იმპერიაში შედიოდნენ. ამ სახელმწიფოთა ხალხები ორმხრივ ჩაგვრას განიცდიდნენ: ერთი მხრით „თავისი“ მემამულეებისა და რიკანტებისაგან, მეორე მხრით — მეფის ჩინოვნიკებისა და გენერალებისაგან.

ოქტომბრის რევოლუციამ გაათავისუფლა ლიტველი, ლატვიელი და ესტონელი ხალხები მჩაგვრელებისაგან. მაგრამ დიდხანს არ დასცალდათ მათ თავისუფლება: ისინი უცხოელმა კაპიტალისტებმა დაისაკუთრეს.

დღითიდღე კნინდებოდა და ნადგურდებოდა ეს სახელმწიფოები.

აი, დიწყო მეორე იმპერიალისტური ომი მსოფლიოს დასანაწილებლად. საბჭოთა კავშირმა დადვა ურთიერთდამარებაზე ხელშეკრულება ბალტიის სახელმწიფოებთან. მშვიდობიანობისა და უშიშროების დაცვისათვის ლიტვაში, ლატვიაში და ესტონეთში შევიდნენ წითელი არმიის ნაწილები. უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ბალტიისპირა სახელმწიფოების ხალხები ჩვენს სახელცივან წითელ არმიას.

შეიკრიბა ხალხის არჩეული ახალი მთავრობის სეიმი, რომელმაც დაადგინა: ეთხოვოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს მიიღოს ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ დააკმაყოფილა ბალტიისპირა სახელმწიფოთა ხალხების თხოვნა.

შეკმნეს რა თავიანთ სახელმწიფოებში საბჭოთა წყობილება, მიიღეს სტალინური კონსტიტუცია, დაიწყეს და განაგრძობენ ბედნიერ ცხოვრებას დიდი საბჭოთა ოჯახის ეს ახალი სრულუფლებიანი წევრები.

ღაზვია

ლატვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში 1 მილიონ 250 ათასი მცხოვრებია. მისი მთავარი ქალაქებია: რიგა, ლიეპაია, ანუ ლიბავა, დაუგოვპილსი, ანუ დენისკი, ვილგავა, ანუ შიტავა, ვენტსპილსი, ანუ ვინადავა.



რიგა ლატვიის დედაქალაქი და მთავარი სამრეწველო ცენტრია.

ლატვია მდიდარია ტყეებით, ტორფით, საუცხოო საძოვრებით და მინდვრებით, მდინარეებითა და ტბებით.

ლიტვია


ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ყველაზე დიდი ბალტიისპირა სახელმწიფოთა შორის. მცხოვრებთა რაოდენობა 3 მილიონამდეა.

ლიტვის გეოგრაფიული ზედაპირი სწორია. მას ჰკვეთავს ორი დიდი გემთმავალი მდინარე: ნემანი და ვილია. მისი დედაქალაქია კაუნასი.

ლიტვის ფართობის ერთი მეხუთედი ტყითა დაფარული. „მწვანე ოქრო“ — ტყე ერთერთ მთავარ სიმდიდრეს წარმოადგენს სახელმწიფოსათვის.

ესტონეთი

ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ყველაზე პატარა ბალტიისპირა სახელმწიფოთა შორის. ესტონეთში ცხოვრობს 1 მილიონ 140 ათასი კაცი. ის მდებარეობს ბალტიის ზღვის, ფინეთისა და რიგის უბეგებს შორის. ესტონეთი ველ-საძოვრების ქვეყანაა, მათ უკავიათ მთელი ფართობის 40 პროცენტი. ამიტომაც ესტონეთის მცხოვრებთა მთავარი საქმიანობა მეცხოველეობაა.



ესტონეთში სულ სამი მოზრდილი ქალაქია: ტალინი — ყოფილი რეველი, რესპუბლიკის დედაქალაქი, ტარტუ ანუ იურევი და ნარვა. ესტონეთის მთავარი მდინარეებია ემბაზი და ნაროვა.





შ. საბაღაშვილი

დილა... ფრთხილად ვენახში შევალ,
 დავაჩერდები მტირალა ვაზებს,
 მწველი მზე იწყებს სხივების ფრქვევას
 და ლაქვარდები სხდებიან ცაზე.
 რომ შოიხოვოს მტევენების თვალით
 ვაზებმა ჩუმი გულთბილი შევლა,
 მაშინ რად მინდა ღონე და ძალი,
 თუ არ მოვუსპე ტკივილი ყველა.
 დიდება შრომას,
 გლეხის მარჯვენას!
 ვაზზე თვალები სიხარულს კრეფენ.
 მე აქ ვეძლიევი სრულ აღმაფრენას,
 ვიგონებ ოფლის დაქცეულ შეფეებს,
 ყურძნის სიუხვით დამტკბარა თვალი,
 ვხარობ და ვუმზერ
 მაღლიან მტევენებს,
 ეს სილიადე,
 ეს მოსავალი
 ამოაქუხებს ლექსის შადრევენებს.



ღამო ბაღიაური

თეთრად აჭაფებული მდინარე არ შიასავით ჩაუ-
 დის მწვანე ტყით დაფარულ ხეობას. ახლომახლო
 მცხოვრებლებმა იციან, რომ იმ მდინარეში მრავალ-
 კალი კალმახია, მაგრამ ახლოს არავენ ეკარება.

ერთ დილით მიუახლოვდა ხეობას სამი ცხენო-
 სანი, რომელთაც უცხოობა ეტყობოდათ. ისინი სრუ-
 ლიად დამშვიდებულნი შევიდნენ ხშირ ტყეში, ფო-
 თოლთა საამო სურნელებით რომ იყო გაკლენთილი.

არაგვის ნაპირზე მოგროვილმა მწყემსებმა უცხო-
 ები ტყეში შესულები რომ დინახეს, ვაოცებით შე-
 ხედეს ერთიმეორეს და ერთმა მწყემსთაგანმა ნალ-
 ვლიანად თქვა:

- ნუთუ არ იციან?
- იქნება იციან, მაგრამ...
- მაგრამ უკან ველარ დაბრუნდებიან...

მართლაც, არ გასულა დიდი ხანი, რომ ხეობაში
 საშინელი ყვიჩინა ატყდა. შეშინებული მწყემსები
 მიწას დაემხენენ, პირჯვარს იწერდნენ და ზეცას
 შევლას სთხოვდნენ.

ყვიჩინა უფრო ძლიერდებოდა, — ჯერ ერთიმე-
 ლად ისმოდა, შემდეგ ყმულიად გადაიქცა, თითქოს
 მშვიერი მგლები მოგროვიანო, ბოლოს კი მო-
 ხუცი დედაკაცების წამუტუნის მსგავსად...

თავზარდაცემულმა მწყემსებმა აღარ იცოდნენ
 რა ექნათ, — მიუღეს ქვეყანა ეშმაკების სანავარდოდ
 მოეჩვენათ; ერთმა მათგანმა შინისკენ გაქცევა ურ-
 ჩია, მაგრამ ქალაქელმა გოგომ დაუშალა, რომე-
 ლიც ნახევარი საათის წინათ უმტკიცებდა მწყემ-
 სებს, ეშმაკებისა სრულებით არ მეშინიანო და ამ
 ხეობაში მრავალ კალმახს დავიჭეო.

— ხომ გესმის,—დაცინვით უთხრა მას ამხანაგმა და გაოცებით შეხედა, რადგანაც გოგის შიში ვერ შეამჩნია.

გოგი გულდადებით უგდებდა ყურს ტყეში ატეხილ ხმაურს, ბოლო დროს თოფის სროლაც რომ მოჰყვია, მაგრამ გასაკვირი ის იყო, რომ ტყეში შესულ მგზავრებს თოფები არა ჰქონდათ, ხმა კი შაშხანისა იყო... ცოტა ხნის შემდეგ გახელებული ცხენი გამოიჭრა ტყიდან, მისი ლურჯი ფერი სისხლს შეეღება, ტკივილისაგან გამწარებული წყრომით გასჭყიოდა არაგვის ხეობას. მწყემსებს გვერდზე ჩაუარა, ცხვარ-ძროხა გააფრთხო და სოფლისაკენ აიღო გეზი.

გოგი დააკვირა ცხენს, უნაგირის წინა ტახტა დამეტვრია ტყეის, როგორც ეტყობოდა, ტყვია ფაფარში ჰქონდა მოხვედრალი.

— იქ იბრძვიან!—წამოიძახა გოგომ და ამხანაგებს მიმართა:—საჩქაროდ გაიტეხო სოფელში, მილიციას შეატყობინეთ და მე კი...—აღარ დააბოლოვა მან, სწრაფად გაშორდა ამხანაგებს და ტყეში მიეფარა.

მწყემსები ერთხანს ადგილიდან ვერ იძროდნენ, შემდეგ ორი მათგანი სოფლისაკენ გაიქცა, დანარჩენები სამწყემსოს დაეპატრონენ, კვლავ ხატებს სთხოვდნენ შევლას და ხეობისკენ გაქცეოდა კი აქრობდათ, სადაც ახლა სიწუმე იყო გამეფებული, ხოლო ტყეს ბაღდადივით ეფინებოდა თავზე ნისლიფერი კვამლი, შადღევანდით რომ ამოდიოდა შუა ადგილიდან: რალაც იწოდა ტყეში.

* *

გოგი სწრაფად გარბოდა ტყეში. საქმოდ შორი მანძილი გაიარა, ავიდა მაღალ ხეზე; იქიდან თვალყურის დევნება სურდა, მაგრამ ტყე ხშირი და დაბურული იყო, მხოლოდ თეთრქაფა მდინარე თუ მოჩანდა აქა-იქ.

დაუფრენებლევ ჩამოვიდა გოგი ხიდან და ცხენების კვალს მიჰყვა. რამდენადაც ტყის სიღრმეში იჭრებოდა, იმდენად ეს ტყე ჩუმი და საზარელი ხდებოდა, მაგრამ მაინც უშიშრად მიდიოდა წინ. როგორც იყო, მიადრია იმ ადგილას, სადაც ბრძოლა უნდა ყოფილიყო; ყრულ შემოესმა ადამიანის კენხვა, შემდეგ ფიხის ხმაური. დააყურა: ტყეში ვიღაცა გარბოდა. გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. კენხეს სულ ახლოდან გაისმა. მდინარის ნაპირზე გადახტა და შემერთალი შედგა: თავზე წაადგა ხის ქვეშ მიწაზე დაკეზულ ვაჟკაცს. უცნობი დეგა მილოთავდა წყლისაკენ, სისხლი კვალად რჩებოდა ხის ფოთლებზე, სახე გააფრთხებოდა, პირი უშრებოდა წყურვილით.

დაიხმა გოგი: აღარ იცოდა, რა ექნა. ერთი რომ კი აუცილებელი იყო: უნდა მოხმარებოდა უცნობს, მტერიც რომ ყოფილიყო, აუცილებელი იყო მისი ცოცხლად გადაჩენვა. მიუახლოვდა. მან მკაცრად შემოხედა, მარჯვენა ხელი ასწია, სისხლით შესე-

რილი ნავანი რომ ეკავა, მაგრამ ახლა რა გოგის ყელზე წითელი ყელსახვევი, ხელი ნელნელა დაუშვა, მოწყვეტილი დაეცა მიწაზე.

გოგი მოხატრებით მივიდა ახლოს და შეხედა სისხლი ბეჭებიდან სდიოდა ვაჟკაცს.

— წყალი! — თქვა მან უღონოდ. გოგი ჯერ წყლისკენ გადახტა, შემდეგ შედგა, გამაჯრდა.

— წყლის დალევა არ შეიძლება, ჭრილობას ავენტეს! — წყრომით უთხრა უცხოს, წინ გადაეღობა.

— წყალი! — ბრაზობდა დაჭრილი.

დაენანა გოგის, პატარა პემვით მოუტანა წყალი, პირი დაუსველა. შებღზე გადაუსვა გაციებულ ბედი.

უცნობმა ნაღვლიანი თვალები შეანათა გოგის: — გაიტეკი... — თქვა მისუსტებულის ხმით და უღონოდ ჩაწვა პირქვე.




გოგი შეეცადა წყლისთვის მოეშორებინა იგი, მაგრამ მძიმე იყო, ადგილიდან ვერ დაძრა, მხოლოდ გვერდზე შემოაწვინა, შემერთალი დააკვირდა. ერთხანს ჩაფიქრდა და შემდეგ ისევ წინ განაგრძო სიბილი: სურდა დამხედურების ვინაობა და გზა-კვალა გაეგო. მოშორებით აიღო გეზი, ზემოდან მოკლედ გადაუჭრა გზა, სწრაფად ვადაირბინა თხილწარით დაფარული ფერდობი და ტყის სათავეში, ქვიშიანი ველების მახლობლად, ჩაიმალა ბუჩქებში.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ტყეში კვამლის შადრევანი ამოვარდა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ გოგომ თვალი მოჰკრა ადამიანების ჯგუფს: ტყიდან გამოდიოდნენ და გაბრაზებით რალაკებზე ელაპარაკებოდნენ ერთ მათგანს, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა იყო. ბოლოს ყველანი შედგნენ, უფრო გაბრაზებით დაიწყეს ყვირილი. ის ახალგაზრდა განზე გადავა, თითქო გაქცევა სურს, მაგრამ ამ დროს თოფმა იგრილა, —ახალგაზრდა მოსწყდა ადგილს და ხელმეგობლივი დაეცა მიწას. სიცილი გაისმა, მწარე სიცილი, —ერთი მათგანი, რომელმაც თოფი გაისროლა, მარტო დარჩა და კვლავ შემოლილივით იცინოდა. დანარჩენები მიწაზე დაკეზულ ახალგაზრდას მისცივდნენ, ჯიბე გაუხრიეს, ერთად შექუჩდნენ, რალაცა გაინაწილეს და აჩქარებული ნაბიჯით შეჰყენენ ვიწრო ბილიცს, ჩრდილეთის მხარეს რომ მიემართებოდა [თოვლიანი მთებისკენ; გოგის სულ ახლოს ჩაუფრეს, ორ მათგანს ქართული იერი ჰქონდა, ერთი ეცნაურა კი-

დევ; დანარჩენები კი რუსები და უცხოელები უნდა ყოფილიყვნენ.

გოგი ნაცნობ სახეს უფრო გულიანად დააკვირდა: ტანმაღალი ვაჭაკი იყო, მხარბეჭიანი. ინგლისური ფრენი, გალიფე შალვარი და ჩექმები ცეცვა; თავზე ჩაღის დიდი ქუდი ეხურა ალმაცერად, წვერი მოეშვა, სახე დანაღვლიანებოდა. წინ მიუძლიდა ამხანაგებს; ერთხანს შედგა, რაღაცა თქვა, ცივად ჩაიციხა და სიცილის დროს კბილმა გაიღვრა ბავთა შორის.



გოგი დიდხანს, დიდხანს ფიქრობდა, თუ სად ენახა იგი, მაგრამ ვერ ვახსენა. ერთხანს მწყურალად უმზირა უცნობებს, ცდილობდა დაეხსოვებინა მათი გარეგნობა, ჩაცმულობა და იარაღი. შემდეგ დაჭერილი გაახსენდა და მიეფარნენ რა უცნობები ქვიშაინა გორის იქით, წამოხტა, აჩქარებით დაეშვა თვადღამარიაზე და ხშირ ტყეში დაინთქა...

დღე მიიწურა. მზე გორის პირს დაბრძანდა. ნახირი ზღაზენით ჩაჰყვა არაგვის ნაპირს შინისკენ. მწყურმსები მოწყენით მისდევდნენ სამწყემსოს. გოგი არსად ჩანდა, ტყიდან არაეინ გამოდიოდა. სოფლის მახლობლად მილიციონერებმა ჩაუქროლეს ცხენებით და ტყეს შეუერთდნენ. ბინდი ჩამოწვა და არაგვის ტალღების თქილილი ასხოდა, ქარაფების კალთათ რომ ჰხანდნენ პირს.

* *

გოგი ეახშობის ქამს დაბრუნდა შინ: დაღლილი, სისხლით შესვრილი, ფერგამკრთალი. მამა კარებთან შეეგება, დატუქსა, ხოლო როდესაც გოგამ დაწვრილებით უამბო ნახული, დიდხანს იდგა ჩაფიქრებული და ფერმიხილი. მწყურალად რატომ-

ღაც უმზერდა ღია ფანჯრის იქით ჩამოწვლილ უკუნეთს; შვილისთვის ხმა აღარ ვაუცხავს მისთვის დაეშვა ტახტზე და ფიქრებში გართულდა. სის კვაშილი დარდივით ეფინებოდა გარშემო. კრთოდა.

გოგის მამას ლეო ერქვა. დაშუახნებული კაცი იყო, ტანმაღალი, ქერა სახე ჰქონდა, მოხილი, მაღალი ცხვირი, წვერილი ცისფერი თვალები, მოუსვენარი ხასიათი. განათლებუა ნიკოლოზის დროს მიეღო, სპეციალობით ინჟინერ-გეოლოგი იყო, ხშირად დაიარებოდა ექსპედიციებში, უფრო მეტად კი მარტო უყვარდა სიარული. დაეხეტებოდა მიუვალ ადგილებში, მზვარებებში, მდინარის ნაპირებზე, ტყეებში. იმ გაზაფხულსაც აიჩემა: გინდათ თუ არა, არაგვის სათავეებში უნდა გავატაროთ საფხული, კოლ-შვილი მიუჩუებულ სოფელში დააბინავა და მარტოდ სიარულს მიჰყო ხელი. ხშირად მიდიოდა სადღაც, ხანდახან ღამეც არ ბრუნდებოდა შინ. ბოლო დროს უფრო მეტად დაეტყო მოუსვენრობა, სამეგრ წავიდა ქაოქში, მოულოდნელად დაბრუნდა უკან. მეუღლეს უკვირდა ლეოს გამოცვლა: უკვირდა გოგისაც, მაგრამ დაღლილობას აბრალებდნენ ყველაფერს.

ხშირად მოდიოდნენ ლეოსთან უცნობი სტუმრები: მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, თბილისიდან, ჩაიკეტავდნენ კარებს, გოგის მოიშორებდნენ და მარტოდ რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. როდესაც გოგი მოიწადინებდა მათი საუბრის მოსმენას, მამა მშვიდად ეტყობა:

— საქმე მითხოვს! — გოგიც ეცდებოდა არ შეეშალა ხელი მამისთვის, მიდიოდა ველად, აიყოლებდა სოფელ ბიჭებს, იქერდნენ კალმახებს, პეპელებს, დაეჭობდნენ ჩიტის ბუდეებს. გოგი მარდი იყო, გამბედავი, დაკვირვებული და სწავლაში ფრიადოსანი; შესახელობით დედას ჩამოჰგავდა: შავგვერემანი იყო; წლოვერებასთან შედარებით მაღალი, გამხდარი სახისა. ერთადერთი შვილი ჰყავდა დედ-მამას, უყვარდათ, მაგრამ იმ საღამოს კი...

წყენით რადმე შეხვდა მამა, ეუცხოვა გოგის. უფრო მეტად გაუკვირდა, რომ მამამ ჩვეულებისამებრ შუბლზე არ აკოცა. სხვა დროს ასეთი გმირობისათვის საჩუქარს დაჰპირდებოდა, შეაქებდა, ახლა კი ნაწყენი იყო ლეო. იქნება უბედურმა შემთხვევამ ჩააფიქრა იგი...

მთელი დამის განმავლობაში არ სძინებია გოგის: ტყე, სისხლიანი ადამიანები, დაჭრილი ცხენი და სროლა ელანდებოდა; თანაც ლეოს სატყეული აკვირებდა. არ ეძინა არც ლეოს, ერთიორად დაღლილი მოუსვენრობა, განუწყვეტლად ეწეოდა პაპი-

როსს, ტრიალებდა ლოგინში. გოგი დაძინებულად აჩვენებდა თავს, იღუშაღ უჭერებდა საბნის ქვეში-დან...

შუალამე გადასული იქნებოდა, რომ ეზოში ძაღლმა ვილაკას შეუტრია, კარებს მოაწყდა და გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ უცნაური ხმა რამ გაი-სმა—სტყენის მსგავსი, უფრო «ტყისქათამას» კი-ვილსა ჰგავდა.

გოგის მოჩვენა, რომ დერეფანში ვილაკამ გა-იარა მსუბუქი ნაბიჯით; საბნის ქვეშიდან გაუჭკრი-ტა მამას, მაგრამ იგი არა ჩანდა საყოფლოში. და-აყურა: დერეფნიდან ნელი ლაპარაკის ხმა ისმოდა, გაცნარებით ლაპარაკობდა ვილაკა. აიწია გოგომ, აღგა, ფრთხილი ნაბიჯით მიიპარა კარების მიხ-ლობლად, აკანკალებული ხელებით მიეყრდნო კა-რებს და დააყურა:

- გათავდა ყველაფერი...
- მამ იგი მოქალით?
- დიახ.
- ცუდი საქმეა.
- უმკველად გაგვცემდა.
- ერთიც უნდა მოისპოს...
- დაიღუპა ყველაფერი...
- სხვარივად არ შეიძლებოდა...
- უნდა წავიდეთ.
- სიჩქარე გემართება.
- თავი ქალაქს უნდა შევაფაროთ. მაგრამ... — აღარ დაამთავრა უცხომ თქმა, გაჩუმდა: მძიმე სუნთქვა შემოესმა კარებიდან. დააყურა. უცბად გააღო კარები, — შემკრთალ გოგის შეეფთა. უც-ნობმა სწრაფად დაიწია უკან, კარები მიხურა.

— იციან! — ჩილიპარაკა მან ნაღვლიანად და მიწყდა ხმა. ფეხის ჩქამი ეზოსკენ წავიდა.

გოგი გაოცებული იდგა ერთ ადგილზე: ის უცხო კაცი თავის სახლში იხილა, წედან რომ ტყის სათა-ვეში ხარხარებდა ჭაბუკის მკვლელობით გაღლე-ბული...

— მამ მამაც... — მწყრალად ჩილიპარაკა მან, დაეცა ქვეშაგებულზე და ყრუდ ატირდა...

ლეო გვიან დაბრუნდა. მწყრალად შეხედა შვილს, ერთხანს თვალები თვალებს გაუსწორა, — მისი თვალები მუქარას აფრქვევდნენ. დაიძინო, გაუჯავრდა გოგის, თავდაც დაწვა, მაგრამ არ დასძინებია: დარდი ლოდვიით აწვა გულზე...

* * *

ღლით გოგის რომ გაეღვიძა, მზე საკმაოდ მა-ღლა ასცილებოდა მთის მწვერვალებს, მაღლიანი სხივებით გაითბო მიდამო, განზიარულმულიყო არე-მარე. ყმაწვილების ხმაური შემოესმა გოგის, გაღ-ვიძების უმაღ წამოხტა ლოგინიდან. ფანჯრი-დან გაიხედა, — ეზოში ახალგაზრდებს მოეყარათ თავი, ფარეკაობდნენ: ხის ხმლებითა და ფარებით უხედებოდნენ ერთი-მეორეს.

გოგის ერთხანს ტოლებთან წასვლა უჩინა გე-ნებამ, მაგრამ წინაღობილი ამბავი გაასხენდა, მამის მიერ მკაცრი მოქცევა, მასთან უცნაურად ვი-ლაკა, ტყეში ნახული ამბები, დაკრილს უჭერებდა სანე. დაფიქრდა. თანაც იტყადრისა ყმაწვილებთან თამაშში მონაწილეობის მიღება. ისევე მარტოდ ყოფნა ირჩია...

ის იყო დედამ საუხზე მოუტანა გოგის, რომ კარების კაკუნი გაისმა. გოგიმ დედის აღარ დაა-ცალა, თავდა მიიბრინა კარებთან გააღო და მის წინ მილიციონერი ჩამოვდა. გულიანად დააკვირ-დნენ ერთი-მეორეს.

— თუ შეიძლება, მილიციაში წამოდიო! — მო-ხატრებული კილოთი უთხრა მილიციონერმა გოგის, თანაც ათვალეფრებდა. — წუთი ეს ის ყმაწვილია, გუშინ რომ ტყეში იბრინაო.

გოგიმ უხერხულობა იგრძნო — არ იცოდა, რა ეპასუხნა, მაგრამ დედა მოეხმარა:

- რაშია საქმე?! — ცოტა არ იყოს წყენით ჰკით-ხა ბამბინე მილიციონერს.
- გუშინდელ ამბებზე უნდა დაპკითხონ.
- ახლავე წამოვაღ. — მოყლედ მოუჭრა გოგომ, მაგრამ დედამ არ გაუშვა.

— ისაუხმებს და მე თავად წამოვეყვები, — უთ-ხრა მან მილიციონერს და მარტო დარჩენილი შვი-ლი დატყუა:

— მეტჩიარა ხარ! რისთვის გარბოდი ტყეში! მამაშენმა შეიშოგითვალა: ენა დამიოკლოსო, გესმის?! ცოტა ილაპარაკე! არაფერი მინახავსო — მორჩა და გათავდა.

გაოცებით აკვირდებოდა გოგი დედას: არასო-დეს ენაბა ასეთ მდგომარეობაში, რად მიუჭრებო, უჭერიდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. ისაუხმა, უხმოდ გავიდა ოთახიდან, მამაცად გაიარა ეზო. გვონა, ყველა მე მომჩერებიაო, უხერხულობას გრძნობდა. გასცდა თუ არა ეზოს, ფეხის ხმა შემოესმა, — დედა წამოეწია.

— რა მიგარბენინებს, სთამაშოდ ხომ არ მი-ღიხარ, ჩვენება უნდა ჩამოგართვან...

- მერე რა?!
- მერე ისა, რომ ლაპარაკს მოუკელი!
- მე რაც ვნახე, იმას ვიტყვი, რა საქმე გამი-კირეთ!

— რა საჭიროა! — წამოიძახა შემკრთალმა დე-დამ. — გაგვაწვილებენ: სასამართლოში სიარული, ათასი დავიდარაბა... ნეტამც სულ არ წასულიყავი ტყეში...

გოგის დედამ გადააუარა წინ მილიციის შენო-ბის კარებთან. შეაყენა. ცრემლიანი თვლებით ჩა-ხედა თვლებში.

— შვილო! — უთხრა მან ჩუმად.

გოგი შეკრთა. გაკვირვებით დააკვირდა დედას, შესვლა მოიწადინა, მაგრამ ბაბაღემ არ გაუშვა.

— შეიღო... გახსოვდეს მშობლები! — უფრო ნაღვლიანი ხმით წასჩურჩულა დედამ. — ლოცხე აკოცა. — უფრადერს იტყვი, ჭირიმე, ოჯახი დაიღუპება...

გოგის გული შეიკუმშა მაგრად, დედის კოცნა ეამა, გონება დაებნა წუთით. მკერდზე მიეყრდნო დედას და ამ დროს ფეხის ხმა შემოესმა. სწრაფად გაშორდნენ ერთმანეთს: გოგი ჩქარი ნაბიჯით შევიდა მილიციაში, ხოლო ბაბაღლ ჩაფიქრებული გაბრუნდა უკან, გულში სწყველიდა ქმარს.

გოგი უფროსთან შეიყვანეს. მაღალი ტანის ახალგაზრდა ლიმილით შემოიგებდა. მახლოლად დაისვა. დასაწერი ქალადლი მოამზადა და დაწერილებით გამოჰკითხა, რაც გოგამ ნახა და გაიგონა ბრძოლის დროს ტყეში. გოგიც სულ დაწერილებით ელაპარაკა, არაფერი დაუმალა.

— მამე შენ იმ ხალხს იცნობ? — გაკვირვებით ჰკითხა უფროსმა.

— რა თქმა უნდა.

— უწინ თუ სადმე ვინახავს ისინი?

— ერთი კი, მაგრამ... არ გამახსენდა, სად მი-
ნახავს...

— იქნება როგორმე გაიხსენო!

— ძალიანაც მინდა... — თავმდაბლად თქვა გოგამ, სიტყვა პირში გაუქრა, რალაციის დამალვა სცადა. მილიციის უფროსი ვერ მიხვდა: მორცხვობაში ჩამოართვა, წახალისა, ხელით შეეხო. გოგი კი... ცრემლიანი დედის სახე ედგა თვალწინ. „ნუ, შეიღო!“ — ემუდარებოდა იგი, მაგრამ მამა... ნეტამეც არ იყოს მშობელი — ფიქრობდა გოგი, ან არ გვეგო მას მამის იმ ხალხთან მონაწილეობა... რა ბედნიერი იქნებოდა, ეხლა კი...

— იქნება რამის თქმა გსურს? — ჰკითხა საღ-
რაჯოს უფროსმა ჩაფიქრებულ გოგის.

გოგი შეიკუმშა, მაგრამ თავს დასძლია:

— დაქრილის ნახვა მინდოდა... — იცრუა მან.

— თბილისში ვაგვზავნეთ...

გოგიმ ნაღვლიანად შეხედა მილიციის უფროსს.

— კარგი ვაქცაი იყო, არა?

— ძალიან, — ჩახლენილი ხმით მიუგო გოგომ, თვალზემ ცრემლის გუბეში აუტრიალდნენ. გულში დაფარული საიდუმლო სტანჯავდა ყმაწვილს...

— მენახება მეც... — თქვა უფროსმა ნაღვლიანად, — ცოდვაა მისი დალუპვა, მაგრამ მტერი არ გვინდობს, ამიტომაც არც ჩვენ უნდა დავინდოთ იგი.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ვინ არიან ეგ დაქრი-
ლები? — იკითხა გოგომ, რომ თავისთვის დაეძლია და არ წამოსცდნოდა დაფარული.

— ის ერთი ინტენერია, წელს დაუშოვარები უმაღლესი სასწავლებელი, მთების სიმდიდრის გამოსაკვლევად წამოსულა, ორი სტუდენტი წამო-
უყვანია.

— დაქრილი რა გვარია?

— ელანძიე.

გოგის გაახსენდა დაქრილის ნაღვლიანი სახე, შემდეგ მამა დაუდგა თვალწინ. შესძავდა, გულის-
ტკივილი იგრძნო, ცრემლი მოუვიდა თვალზე.

უფროსი გულიანად დააკვირდა: გაუკვირდა გოგის გულჩვილობა, ვერ მიუხვდა ცრემლის მი-
ზეხს.

გოგი ადგა, წასასვლელად მოემზადა.

— მამე ასე... — თქვა უფროსმა, — ეხლა წახვალ, მაგრამ თვალყური ადევნე იმ ხალხს, იმედია, გვაც-
ნობებ, თუ კი სადმე დაინახავ...

— რა თქმა უნდა, — ნაღვლიანი ხმით უპასუხა გოგომ. დამეშვიდობა. თავდახრილი გავიდა მილი-
ციის შენობიდან. შინ მისვლა დეზერა, — დედის-
თვის ყურადღება აღარ მიუტკევიდა. მთელი დღე მარტომ გაატარა არაგვის ნაპირებზე, ეჯავრებოდა ყველაფერი — ამხანაგები, ოჯახი, აღამიანები. ნა-
ტრობდა უცნობების ვინაობის გაგებას. ერთი მათგანის სახელი მაინც სცოდნოდა — იმ წუთსვე მილიციას შეატყობინებდა, გინდაც მამა დალუ-
პულიყო, მაგრამ მშობელი... ძნელი იყო პირდაპირ მამის დაბეზღება...

ნაღვლიან ფიქრებში გაიპარა დღე. გოგი ბინ-
დის ქამს დაბრუნდა შინ. დედა დაფიქრებული, ფერმკრთალი დახვდა. დიდხანს ხმა არ ამოუღია.

— მამა სად წავიდა? — იკითხა ბოლოს გოგომ.

— არ ვიცი, — ნაღვლიანი ხმით მიუგო დედამ, თავი დახარა, მზერა ვერ გაუსწორა შეიღს. გოგის ტირილი მოერია, მორერ ოთახში შევარდა. მიწვა ლოგინზე და ატირდა. დედა მიუახლოვდა, თბილი ხელი გადალუსვა ხუჭუჭა თმებზე, მაგრად ჩაეხუტა. ხმას არც ერთი არ იღებდა. საკუთარი გულის ტკი-
ვილი ათრობდა ორივეს. თვალცრემლიან გოგის დედის ცრემლები დაეცა შუბლზე: ტიროდა ორი-
ვე, — ორივემ იცოდა საიდუმლო: ლეო ბნელი საქმის მონაწილე იყო, მაგრამ... ვერ გაუმეტდა მისი გა-
ცემა. არც იცოდნენ, საით ვავიდა იგი...

მეორე დღეს დეგემა მიიღო ბაბაღლემ: „საჩქარო საქმეზე მივიღეარ მოსკოვში. იყავით კარგად. ლეო“.

ეს იყო და ეს.

— რისთვის მიდის?! — ეკითხებოდა გოგი თავის და ჯავრობდა, რად ვმალოვო საიდუმლოს...

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ეჭიანი

გეყოფა, ნულარ წუწუნებ,
თავს ნუ მახებრებ, მე გირჩევ,
თავს ნუ ისაწყლებ მელივით,
ნუ მაიმუნობ, ეჭინი!
აბა, რას დაძრწი უსაქმოდ,
ჩემს საბლთან რას იკუზები?
როგორც კი მიხეხს იშოვი,
კარებთან ამეტუხებგი;
ნუ მელრივები ურიგოდ,
კისერს ნუ იღრეკ ჩემს კართან,
მჯილასც ნუ იცემ თავიკარში,
ამას ვინ დასთმობს, ჩემს გარდა?
თავს ნულარ იგდებ, მოიქეც,
როგორც წესი და რიგია,
ნუ ჩივი, ენა ჩაიგდებ,
ჩემი ხენ არ გაევიგა?!

მერე მე რა, თუ წელს შენთვის
შავბნელი წელიწადია,
თუ გველვა იყო და ახლა
მარცვლიც არ გაბადია;
შენს ბოსტანს, ბრინჯის ყანასა
ქარი ლუჯავდა ანახდად,
თუ შენი შრომა დაინთქა,
ბუნება ჩადგა შენს ჯიბრში,—
მე რა ექნა, აქ რას ლულუღლებ,
რალას წუწუნებ, ეჭინი?!

რა მენადლეგება, თუ სეტყვამ
შენი ჭონება დალია,
შენი ნაოფლი ბოსტანი
თუ მოაოხრა კალიამ?!
თუ შარშან, ოფლით ნაბანი,
ვალში წაგართებს საბანი,—
ახლა ღარდაგი გაყიდე,
მამაშვილურად მე გირჩევ!
დამუნჯდი, შვილო, ნუ ჩივი,
ნულარ წუწუნებ, ეჭინი!
ცოტას ეჭამ, ბევრსა ვგრომობო,—
ყური წაიღე ტაბანით,
თუნდ შიმშილითაც მომკვდარხარ,
ჯანაბას შენი თავ-ტანი
პური მოიტა! ლოდინის

* ეჭინი — მიწისმუშა.

დრო არა მაქვს-თო, გითხარო.
მოიტა, ჩქარა მოიტა,
თუნდ თვლიც გამოითხარე!
ბრინჯიც მოიტა, ქერიცა,
ჩქარა მოიტა, მე გირჩევ,
თუ არ გინდოდეს, რომ ცოცხლად
ტყავი გაგაძრო, ეჭინი!

რამდენი „არ მაქვს“ იძახო—
ვერ მომიშორებ თავიდან,
მაგ წირბლიან თვალს ამოგთხრო
და პურსაც ისე გაეიტან!
მოიტა! კრინტი არ დასძრა,
სიტყვა არ მოთხრა საძრაბი,
ალაქსა ვფიქვებ, მაგ თავიპრის
სულ ავიტრელებ მათრაბით!
ახლა იფიქრე, შვილოსა,
თუ რას მიიღებ შენს ჯიბრში...
მამ, წუწუნს ნულარ მოყვები,
ნულარ სულულობ, ეჭინი!
მუშაკაცს პური რად გინდა—
იოლად გახვალ ჭევეითაც,
ზამთარში წყალი არ იყოს,—
ფონს გახვალ გამდნარ შევეითაც,
შენთვის ხორცი და კარაქი
არის ზღაპარი, არაკი,
რად გინდა, კარგად გადივლი
ათასგვარ დარდულბალით.
ბედმა პირუტყვად დაგაბადა,
არ ვარგა ბედის ლალატო.

მე კი ნამდვილი კაცი ვარ,
ცხოვრების შნო მაქვს, ლახათი,
ბეგი ვარ, ბეგის შვილი ვარ,
ფუფუნებამუ ნახარდი,
მე როგორ გაეძლებ, თუ არ მაქვს
კერძი რჩეული, ახიხი,
ნაირნაირი ღვინო და
სულხმე უძვირფასესი!
ასე ცხოვრობენ ბეგები,
დამიხსოვრე, მე გირჩევ,
ჩვენი წესი და ადამთი
ასეთი არის, ეჭინი!

თარგმნა მარიამ მიქელაძემ.





ფელიამ თვალები დააჰყიტა. ნესტოები უთრთოდა. გომურში ნესტის სუნი იდგა. კუთხეში ფუნჩულა უშობელი იწვა. დიდრონი, წაბლისფერი თვალები იკარგებოდა ტუჩებთან მოდებული თივის ღეროებში. ფელიამ ხელი გადაუსვა და ურდულში გაიხიდა: შორს, სოფლის ბოლოში, რძისფერი ბურუსი ხის რტოებს ეხვეოდა. ახლოს, ალუმბლების ქვევით, ბოსტანში თავდახრილი მუსესუზირები ილიმებოდნენ.

— დედიკო, რატომ ტირი? — არა, ჩემო ფელია, — ძლივს ამოიკენსა მომაკვდავმა. — ნუ გეშინია! მე კარვად ვარ. აი, რა გითხრა, ჩემო კარგო, წადი, ბიძია თეოდორეს დაუძახე! ჩქარა... ფელია...

ავადმყოფს ხმა აუკანკალდა. ჩალაში იწვა ის. ფელია მუნხარში ჩაყურსულ ყვირთულ ქოხისაკენ გარბოდა. პატემი ტკრიცით უსწრებდნენ წინ.

- ბიძია, თეოდორე შინ არის?
- ხო, — მიუფო და ჩაახველა.
- რას იტყვი, ბიჭო? — ჰკითხა თეოდორემ.
- პატეცემულო პან! დედა გეძახის!
- ექიმე ხომ არა ვარ! — ჩაიციხა.
- არა, ბიძია თეოდორე! მოდი, ვთხოვ... ტირივით დედაჩემი. — ბიქს მუხლები აუკანკალდა, შარავილი შეისწორა.

— ხო, კარგი, — დაიბუღუნა თეოდორემ. სტევენით გაიარა ეზო, ძლივს მიათრევადა ჩაქეცილ ჩემებს. ქოხის კარები შეღო.

- რა მოგვივიდა, რა დავემართა? ავადმყოფმა ხმა ვერ ამოიღო, წამოიწია და თვალით ანიშნა, ფელია გარეთ გასულიყო.
- ბიჭო, ცოტახანს კარებთან მოიცადე!
- რატომ, ბიძია თეოდორე?
- ვადი! — შეუტია. ფელია გომურის წინ აბტუხა.

— თეოდორე, მეზობელი ხარ! გვცადები, გე ერთი შელი მზრება. თუ აღმანიანობა გაქვს, ეს მიწა, რაც გამანიძია, ფელიას სახელზე დამიწერე, იქნებ ისწავლოს, თეოდორ... თუ გროში არ ექნება, ვინ შეხედავს ჩემს შვილს? აბა, შენ იცი, თეოდორ...

მეზობელმა კარებისაკენ მიისხედა, თვალები გაუბრწყინდა:

— მაგის დარდი ნუ ჩაგყვება, ლოვოვში გავგზავნი! ვასწავლი!

— თეოდორ! შეძლებული კაცი ხარ, თეოდორ... ფელიას მოუარე... — ძლივს ამოიკენსა დედაკაცმა და ჩალურჯებული ძარღვები დაქიმო. რამდენიმე

წუთის შემდეგ გაშტერებულ ფელიას ბიძია თეოდორე ეუბნებოდა:

— იცი, რა გითხრა, ბიჭო, არაფერი იჯავრო! დედაშენი გარდაიცვალა, მიწა მე დამიტოვა და კარმიდამო, ჩემს სახელზე, ხელი მოაწერა, მითხრა: არ გაგაჯავროებს, ჰკვიცნი ბიძიო...

ფელიას არაფერი ესმოდა, თავი ჩაეღუნა და ზღუქუნებდა. მას ხუჭუქა თმები ერხებოდა.

* *

გარინდულ სოფლის თავზე მტრედები დასრიალებდნენ. პერანგის ამარა ბიჭები მუნხარის ქვევით ძროხებსა და ცხვრებს მირეკდნენ. ახლოს ზაყაყებით საესე მდინარე იყო, ჩუმი და მდორე. ხანგამოშვებით შეირხებოდნენ დიდრონი ლერწმები, სრიალით ჩაყურყუმალდებოდნენ ფრთამარდი იხები. ფელიას გაწერილი ძროხები. ცოტა არ იყოს ციოდა. ნამიანი ბალახები ცვარს ღვრიდნენ. საქონელი მადიანად ჰამდა. თეოდორემ აიჟინიდან გასძახა.

— ბიჭო, ფელია! — ფელია უმაღლე ბანარს ამოჰყვა.

- რა არის, ბიძია თეოდორე?
- ცხენები დაასუფთავე?
- დიახ, — მიუფო და ცხვირი სახელოთი შეიწმინდა.

— იცი, რა გითხრა? სანამ კართოფილს ამოიღებდე... ავერ ტყეში გაირბინე... სიცივია... პან ხიტომმა არ დაგინახოს, აბა, შენ იცი...

- პან ხიტომის ტყეში? — იკითხა გოცებულმა.
- ხო. ნუ გეშინია, ჩუმად შეძვერი, ყოჩაღი ბიჭი ხარ! — გადაუსვა ბანჯგულიანი თითები და პურის არაყი ჩაწრუბა.

დაბურული ტყეა. მდინარის იქით მტრეირან გზაზე მირბოდა პატარა ფელია. მუსესუზირას აწკაპუნებდა. ხუმრობა ხომ არ არის, გუშინდელს აქეთ ერთი ლუქმა არ უქამია: ხან ცხენები, ხან წყალი, ხან შეშა.

ქარი ღუნავდა შიშველ ნაძვანარს. რტოები სტევენდნენ. პატარა ბიჭი ქლოშინობდა, ფეკრობდა: „მაღე მოგერი, მივალ დ ბიძია თეოდორე მაქმეცს“. დიდ ნაძვის ხე წამოაჭტია, რტოებს ათლია. უცბად ასცდა ცული და მარცხენა ფეხის თითი მოიჭრა. მსხვილი ცრემლებით გავესო თვალის უკეები, სლუქუნებდა პატარა. მასლობლად კი საამერად ელურტულდბდნენ ჩიტუნები. ხის ძირში ილიმებოდნენ

ყვირდებოდა ყველაზე. ჩამოჯდა კუნძუზე და შარვის ნახვით იხვევდა ჭრილობას. სულ ახლოს ტყის ჩიტუნამ დაიჭყოლია. ფედიას თვალები გაუბრწყინდა. უცბად მოაგონდა მეფანდურე პეტას საყვარელი სიმღერა.

როცა მოგვედ, მე დამმარხეთ,
სად კურგანი არის,
სად გაშლილა საყვარელი
უკრაინის ბარი!

მოაგონდა მეფანდურე პეტა, როცა დაამღერებდა და თან დააყოლებდა:

— ტარასი იტყობა: მეზობლებო, ისევ აღდგება უკრაინა. სიმპათიის ნათელი გაანათებს, შეჭრავენ ყველა გაუმადლარ მეფეს მავარი ჯაჭვებით... ტარასის სძულდა პანებიო.

ფედიას თვალწინ დაუდგა მეფანდურე და მეზობლები, ახლოს კი კვლავ ჩიტუნები ძრამულობდნენ ხმაურობდა ტყე.

პანი ხიტომა მორჩა ლოცვას. დღეს მიანც ბევრი მლოცველი არ მოსულა. ერთი შეიკრთხა და იფიქრა: კარგი დარია, ჩემს მამულში გავივლიო. მეგინებულ უმაღვე მოპკავარა ულავი. შეჯდა და სოფლის ბოლოსკენ გასწია. პან ხიტომა სოფლის მიღვე იყო. აუარებელი მიწა და ტყე ჰქონდა.

მიდინარეს გასცილდა. უყურებდა მწვანე მინდვრებს და ბუჩქნარში გაბნეულ ძროხებს. იღიმებოდა. უცბად ცულის ხმა შემოესმა. ცხენიდან ჩამოსტა. წელა შეტევა ბუჩქებში.

შეშინებული შემოტრიალდა ფედია.

— არ გაიქცე! — შეჰყვარა.

— მე არა ვარ დამნაშავე, პან, არა! ბიძია თოდორემ გამოგზავნა! — კანკალბედა პატარა. ან სულ გაიქცეოდა, ფეხი ჰქონდა დაჭრილი.

— ნუ გეშინია! მოდი ჩემთან, ბიჭიკო...

შეშინებული ფედია მიუახლოვდა ხიტომას. მან დაიპირა, მუჯლუქუნებით შეათრია სოფელში. მთელი გუჩხობა შეყარა:

— ჭურდი! ჭურდი! ტყე გამოიხრა! თანაც იძახის მე არა, ბიძია თოდორემ გამგზავნაო! მაგას არ დავიჯდრებ! პანი თოდორემ მაგას არ ჰქადრებდა, არა! — ღრილდებოდა ხიტომა.

— ჩემი ტყე არ მეყოფა? შენი რად მინდა, პატრეცემულო პან! — ცხარობდა თოდორე.

— ეს არის, ეს, დამნაშავე! — სცემდა ფედიას. ბავშვები ცრემლმორეული უტყურობდნენ. მეზობელი გლეხები ღუმდნენ. მეფანდურე პეტა ამობოდა:

— ვაი ჩვენი ბრალი, ბავშვს რად უნდოდა შენა, დედა არა ჰყავს და მამა!

პატარა ფედიას ცხვირპირიდან სისხლი სდიოდა. ცრემლები ალარ უჩანდა. გაშტერებული ეგდო მტერში და სლუქუნებდა.

* * *

მინდვრებიდან მოდიოდნენ ფერდებამოკვებულ ძროხები. ღამდებოდა. შორს მიიჩქაროდნენ ღრუბლები. სოფელში სიჩუმე დადგა. მხოლოდ მეზობლის

მურია ყმუოდა. ფედია იჯდა საჯინბოში და თავს იქეპავდა. უცებ კიშვარი გაიღო. ეზოში შემოვიდა მღვდელი ხიტომა. გრძელი შავი ანაფორა მუცელს რბდა. ბიძია თოდორე და ხიტომა რაღაცს უყრის ჩულებდნენ. ეზოში ხიტომას ულავი თივას ხარბად ქამდა.

— ბიჭო ფედია, გაჰყვიე ხიტომას!

— ესლავე, ბიძია თოდორე!

ბნელი ღამე იყო. ფედია აგზავნეს გუმბათში. უთხრეს ზარები რეკო. ასწლოვან ცაცხვის რტოებში ფრთხილებდნენ ჭოლყავები. ფედია თავგამოდებოდა სცემდა ზარებს. შეაჩერებდა თუ არა, ხიტომა მაშინვე წამოიყვირებდა:

— აბა, რა უნდა გასწავლო, ორჯერ მოიქნევე და გეძინება! დაქარი, ბიჭო! — უყვიროდა ხიტომი. ბნელ ღამეში შორს ისმოდა ხმა. ტყეებიც ემაურებოდნენ. ფედია მთელი ღამე გუმბათში გაათინა. დადგა დილა. ჩიტუნები შეფრთქილდნენ ვაცხებში. ხალხმა თავი მოიყარა. ლოცულობდნენ დედაბრები:

— მეზობლებო! მეზობლებო! — მოვარდა თოდორე.

— რა იყო, არ იტყვი? — შეჰყვარა ხიტომამ.

— პან, ყური მივდე!

— ლუქმა უნდა დამაქარგვიოს ღორმუცელამ! — თავისთვის ჩაილაპარაკა ხიტომამ. დედაბრები ქვეს ჰკოცნიდნენ. ეზოში ძალზე გაირონა. ხიტომამ ფედის ანიშნა, ფედია უქმყოფილად მიაჰყვა კიშვარად.

მესერს მიეყრდნო. თვალს ბუტუავდა, ეძინებოდა ფერმკრთალ ბიჭუნას. თვლები დაისრისა: ამას რას ხედავს, ეზოში ვიღაცა საშხდრო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი შემოვიდა. ფედია დაიბნა. თოდორემ და პავონიანმა კაცმა რალაც აათრიეს გუმბათში. გაცხარებული ხიტომა კანკალით ამბობდა:

— ღმერთმანი! აქედან კარვად მოჩანს! გზაზე როგორც კი გამოჩნდებიან, დაგანახებთ, როგორ უნდა შემოსვლა!

თოდორემ ჯიბიდან არაყის ბოთლი ამოიღო. ცოტ-ცოტა მოსვეს. ხიტომა გაუმღებებით ილოცებოდა. სოფელი ღუმდა. ტყისპირს გარბოდნენ ცენოსნები. გომურებში მეზობლები ახმაურდნენ. მეფანდურე პეტაც გარეთ გამოსულიყო. ხალხ ერთმანეთს ჰკოცნიდა. პატარა ბიჭები ქუდებს ისროდნენ. ფედია ვაოცებული იღვა მეფანდურეთთან. ვილაცამ გომურის თავიდან დაიძახა:

— მოდიან! მოდიან!

— ტყეც ჩვენი იქნება და მიწა!

— ხაი ეივე, ხაი ეივე! — ყვიროდნენ მეზობლები. დედაცავეთ კაბაქარწახებული გამობოდნენ. ახმაურდა სიფელი. მეფანდურე პეტა ხალხში ჩამდგარაყო და სიხარულით ამღერებდა ტარას შეჭენქოს ცნობილ ლექსს: „როცა მოგვედ, მე დამმარხეთ“...

— ბიძია პეტა, ახლა ხომ წალკავენ პანებს?

ასრულდა ტარასის სიტყვები!
— ხედვე, მოვიდა ჩვენი სიცოცხლე — მოდის წითელი არმია! — თქვა და მეფანდურემ მთელი სოფლის გასაგონად დაიძახა: „ხაი ეივე!“ გოგონები



არ განძრეთ!

ყვეცილებს ისროდნენ. ცხენოსნებს მოჰქონდათ წითელი დროშა. ოფელში გახვითქული ცხენები ტორებზე

დგებოდნენ. ცხენოსნები ესალმებოდნენ, ჰკოცნიდნენ გლეხებს. ფეღია აიტაცა ცხენოსანმა:

- რას გაფითრებულხარ, ბიჭიკო? უარქუნეწლი
- არ მიძინია. ზნაზლიწისქა
- დიდხანია? — ღიმილით ჰკითხა ცხენოსანმა.
- ხო, დედის სიკვდილის შემდეგ! — ესა თქვა და უცაბედოდ ატყდა ტყვიამფრქვევის კაკანი. გუმბათიდან ტყვიის წვიმა ესხმოდა გომურებს. მეფანდურეს ფეხში გაუარა ტყვიამ. ფეღია ვაღახტა, შეძვრა ვალავანში. დანახა ხიტომა და თეოდორე, ისინი გუმბათიდან ივინებოდნენ. ტყვიამფრქვევი კაკანებდა. პატარა ბიჭები კიბე აიბრინა:
- ფეღია, ბიჭო, ლენტე მოგვაწოდო! — შეტკივლა ხიტომამ.

— ახლავე, ბიძია თეოდორე! — წასურჩულა ფეღიამ და კუთხეში აყუდებული თოფი აიღო, თვალები გაუღიღდა, უჩვეულო გაბედულობით დასტკივლა:

— არ გაინძრეთ!

შეშინებული თეოდორე შემოტრიალდა, ხიტომამ რალაც დააპირა, მაგრამ მეფანდურე პეტამ მოუსწრო.

— (ყულს ხომ უყურებ, შუაზე გაგვიბოზ თავს! ხიტომა და თეოდორე ჩამოათრის ძირს. ტყვიამფრქვევიც ეზოში გამოაღორეს. სოფელში სიმღერის ხმა გაისმა. პატარა ბიჭები ხეებზე ასულიყვნენ, სერიის უყურებდნენ.

მეფანდურე უკრავდა. ფეღია მეზობლებში იდგა და იღიმებოდა.

ამიზინებულ ღრუბლებში კი ფრთამარდი მერცხლები დასრიალებდნენ. ტყის ბოლოს, ხავერდითი მწვანე მინდორში, პატარა ფეღიას საყვარელი ბოჩოლა ნამიან ბალახს ძოვდა.

ლომი, დათვი და მელა



3. პიგაკი

ერთხელ ლომი ავად გახდა. ყველა ცხოველი მოვიდა მის სანახავად, მაგრამ მელიამ დაიგვიანა. დათვმა დაიწყო კორაობა და მელიას ავად ხსენება. სწორედ ამ დროს მელია მოვიდა და კარებში მოესმა დათვის კორაობა თავისზე. მელია შემოვიდა და ლომს ფეხთქვეშ ჩაუფარდა.

ლომმა ვარისხებით უთხრა:

— კუდ დროს მოხვედი, სახიზლარო ქმნილებავ, სად იყავი აქამდე?

მელიამ უბასუხა:

— ო, ძლიერო ლომო, უბრალოდ ჯავრობ, შენ თავს გეფიცები, შენი ავადმყოფობა გავიგე თუ არა, წავედი მრავალ ექიმთან და მედიცინის დოქტორებთან, ამის გამო დამიგვიანდა. მაგრამ ჩემი ტანჯვის ნაყოფი ის იყო, რომ მე გავიგე, თუ რა არის შენი სნეულების წამალი.

ლომი მორბილდა და უთხრა:


— ა, მშვიდობით მოხვედი, ბრძენო ცხოველო. რა არის ეგ წამალი?

— ძლიერ უებარი და ადვილი საშოვნე წამალია, — უბასუხა მელიამ, — მედიცინის დოქტორებმა მითხრეს, რომ ცოცხალ დათვის ტყავი უნდა გააპროთ და ცხელცხელი დააგდოთ ლომის ზურგზე. ტყავი ავადმყოფის სხეულიდან იმ წუთას გამოსწოვს, ამოიღებს სატყვიარსო. — ლომის ბრძანებით დაუყოვნებლივ დაიჭირეს დათვი და დაუწყეს ტყავის გაძრობა. დათვი ოხრავდა, თათებს თავში იცემდა, ყვიროდა და ღმუროდა საზარელი ხმით.

ამ დროს მელიამ უთხრა მას:

— შენზე ახია, ეგ ჯერ ცოტაა შენთვის! ეგრე უნდა მოგექცნენ შენ და მათ, ვინც ტყუილუბრლოდ ცილს სწამებს ხევას.

თარგმანი სომხურიდან ლ. კარაპეტიანიძე.



სამომავლობით დაპყრობებს ორი ბუმბერაზი მათ მათ კალთებზე ვაგლილ პატარა ქალაქს.

— გახსოვს, — შეეკითხა ერთი მთა მის მოპირდაპირე მეორე მთას, — ასი წლის წინათ ამ ქალაქის ადგილს ვაუფალი ხევი იყო, მეგლი და ტურა დარბოდა, ახლა რა ლამაზი ქალაქია. პატარა სახლებით, სწორი გზებით, ბაღ-ბოსტნებით. ქალაქის ბოლოში თვალწვდენელი მწვანე ყანები ბიბინებს.

— ნუ გამახსენებ, ნუ, იმ დროს! ახლაც შიშით ვკანკალებ, როცა წარმოვიდგენ, ბრახმორეულმა დედამიწამ თავის გულიდან როგორ ამოაგდო ცეცხლი, მას მოჰყავდა ადრეულად რკინეულობა, ქვები, რომლებიც ჩვენ ზურგში მოგვხვდა. კიდევ კარგი, რომ მაღე დაწყნარდა, თორემ ჩვენც მიწასთან გავგავს-წორებდა.

— მძიმეა მაგის მოგონება, — ჩამოართვა სიტყვა პირველმა, — ვანა ცოტა ხალხი ვაწყდა მაშინ! ყველაფერი დაიღუპა, დაიშრება...

— ყოჩაღ, ყოჩაღ, რომ ამით გაბედეს და დასახლდნენ აქა, მაგრამ რას იზამდნენ?! ბუნების სიმკაცრე აჯობენს ბატონებთან ტანჯვა-წყალებას.

— ხედავ? ხედავ, ჩვენი მშვენიერი ასლამაზა როგორ მიაქროლებს ნაგს მდინარის სათავესკენ? — მიუთითა მეორე მთამ ახალგაზრდა ქალიშვილზე.

ასლამაზა საყვარელი ქალიშვილი იყო არათუ ბაბუსთვის, არამედ მთელი პატარა ქალაქის მცხოვრებთათვის: მაღალი, საროს ტანისა, შავხავერდა თვალებით, გრძელი წამწამებით, კოკობა ტუჩებით, მარგალიტის კბილებით, მარმარილოს სახით, ორი გრძელი ნაწნავით, ამასთანავე სადა ქცევით და მახვილი გონებით — ყველას იზიდავდა. მან ნაგი მდინარის ნაპირს მიაყენა, გადმოვიდა და ტბისკენ გაეშურა. მივიდა იქ და დაჯდა. ასლამაზამ ზევით აიხედა და შეკრთა, ხეზე ჰრელი გველი დაინახა.

— ნუ შიშობ, მე შენი მტერი არა ვარ. შენისთანა ლამაზ ქალს მუდამ საფრთხე მოეღოს, მაგრამ შენ გყვანან დარაჯნი, რომელნიც ყოველთვის გიხსნიან: ეს შენი მომხიბველი თვალებია.

— მაშ, შემძლია ჩვენი მტერი თენგიზი დავამარცხო?

— შეგიძლია. შენ სარტყელში პატარა ბასრი დანა გაქვს, მომეცი აქ. — ასლამაზამ მიაწორა დანა, გველმა დანას შხამი წაუსვა და უკან დაუბრუნა.

— გონებდაკარგულ მტერს გულში ჩასცემ და შვე ჩატოვებ, რამდენიმე წუთში სულს განუტყვევებს. გაძლევ ბეჭედს, ამას სამი თვალი აქვს: მარგალიტი,

ზურმუხტი და ლალი. ეს ნიშნავს: დამაკვირდი, მოისახლე და მოიმოქმედე. გაქირავების დროს მას შეხედავ და ის ყოველთვის სწორ გზაზე დაგაყენებს.

ამ დროს შორიდან ლაპარაკი მოისმა.

ასლამაზამ მისკენ მომავალი ბაბუა და მალხაზი დაინახა. მალხაზი საუკეთესო ვეჯაკი იყო მთელ ქალაქში: მშვენიერი თვალბანადი, პირველი მოკირითე და ცხენოსანი, ჯარის წინამძღოლი. იგი ასლამაზას საქრო იყო. ცოტა ხნის შემდეგ მალხაზი წავიდა. როცა მარტო დარჩნენ ბაბუა და შვილი-შვილი, ქალმა ჰკითხა მოხუცს:

— ბაბუ, რად გადმოსახლდით ამ ქალაქში?

— უმთავრესი მიზეზი შენ იყავი, შვილო: შენ რომ დაიბადე, ერთმა მეზობელმა ქალმა თქვა:

— ეს ბავშვი იმისთანა ლამაზი იქნება, რომ ასლამაზ ქალს აჯობებსო. დედაშენს ეს სიტყვა მოეწონა და ასლამაზა გიწოდა. შენ რაც იზრდებოდი, უფრო და უფრო მშვენიერდებოდი. უნდა იცოდე, შვილო: ჩვენი ბატონი ძლიერ სასტიკი იყო, არ გვგოვავდა, ყველას თავის სასარგებლოდ გვაძულებდა, მისი მორჩილი ყმები ვიყავით. ამის გარდა, ის დიდი არზიყი კაცი იყო: ყველა ლამაზი გლეხის ქალი თავის საკუთრებად მიიჩნდა. დედაშენი ლამაზი ქალი იყო, ის ძიძად წაიყვანა, ძალით დაუახლოვდა, — ამის შედეგად გაჩნდი. ქალბატონმა რომ ეს გაიგო, დედაშენი გარეთ გამოაგდო. დაბრუნდა საცოდავი შერცხენილი, დამკირებული. შენი დაბადება ბატონის დედამ გაიგო. მოვიდა შენ სანახავად, ძლიერ მოეწონე და სთქვა:

— ჩემ რძალს ქალიშვილი არ ჰყავს, თუ 2—3 წელს არ გაუჩნდა, უთუოდ ასლამაზას წავართმევ და ვიწყვლებო. — ეს სიტყვები დედაშენს ელდასავით მოხვდა გულზე. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო შფოთავდა. ერთ დღეს გამოვიცხადა:

— თუ აქ დავრჩი, ჩემს ასლამაზას უმეღურება თავს დაატყუდებო. უსათუოდ პატარა ქალაქში უნდა გადავსახლდეთ. — ჩვენ მიხვდით, რომ სხვა გზა არ იყო, დედაშენი მართალი იყო: ბატონთან ჩვენ ვერას ვაგზდებოდით და ჩვენც აქვე გამოვიპარეთ.

— ბაბუ! ვანა მთ არ შეეძლოთ ამ მოსულთყვენდ და მე წავეყვანიე?*

— არა, აქ მიუვალ ადგილს ვართ. ბუმბერაზი მთები გვდარაჯობენ. ერთადერთი ჩვენთვის საშიში მტერი თენგიზ-შაპია. ის ძლიერი და სასტიკია.

— ნუ გეშინია, ბაბუ! ჩვენ ვაჯობებთ, თავისუფალი ხალხი ვართ, — მიუაღერსა ასლამაზამ ბაბუს.

ამ დღიდან სულ შეიცვალა ასლამაზა: გველის სიტყვებმა და ბაბუსს ნაამბობმა საგონებელში ჩააგდო. ვადაწყვიტა თავი შეეწირა თავისი ქვეყნის ბედნიერებისათვის. ასლამაზა ჰყავდა სახლში ვაზრდილი შველი. ერთ დღეს ის დაიკარგა. ვერ იპოვეს. ასლამაზა ბაბუსს და მალხაზის თანხლებით მთის გადაღმა გადავიდა. ერთხან ეძებეს. ვერც ახლა იპოვეს. უცებ დაინახეს, მორბის შველი და მას ორი მხედარი მოსდევს, უნდათ ისარი სტყორცნონ. ასლამაზამ შეჰკივლა, მხედრები შეჩერდნენ. შველი ასლამაზასთან მივიარდა, ასლამაზა მას მოეხვია. ამ დროს გაიჩინა მრავალი ტყენოსანი მონადირე. მათ წინ მოუძღოდა ახოვანი ლამაზი ვაჟაკი, მეფურად გამოწყობილი.

— დავიღუბეთ, ეს უთუოდ თენგიზ-შაპია, სანადიროდ წამოსულა, — ჩემად ჩაილაპარაკა ბაბუსამ. ასლამაზამ უცებ პირბადე ჩამოიფარა. თენგიზ-შაპმა რალაც უთხრა თავის ორ მზღებელს, ისინი ასლამაზასკენ წამოვიდნენ, ცხენებიდან ჩამოხტნენ, სალამი მისცეს და მოახსენეს:

— ჩვენი მეფეთა-მეფეს სურს თქვენი გაცნობა, წამობრძანდით. — ასლამაზამ ბეჭდს დახედა, მერმე თავი დაუქნია ბაბუსს და მალხაზს და სამივემ შაპისკენ გასწიეს. წარსდგნენ მეფის წინაშე, თავი დახარეს და სალამი მისცეს. შაპმა უბრძანა ასლამაზას პირბადე აეხადა. ასლამაზამ აიხადა, შაპი შეკრთა.

— მშვენიერთა მშვენიერთა! ის შველი, რომელმაც შენთან მომიყვანა, ჩემი ბედის ვარსკვლავი ყოფილა! მე მსურს შენ ჩემ დედოფლად გავხადო. ასლამაზამ დახედა თავის ბეჭედს, მერე თავი დაბლა დახარა, ხელები გულზე დაიდო და მოახსენა: — მეფეთა მეფეე! მე დიდ ბედნიერად ჩავთვლი ჩემ თავს შენ დედოფლად რომ გავხდე, მხოლოდ ერთი სათხოვარი მიქვს.

ლი, — მიუთითა მალხაზზე, — წამოიყვებს, რათა ჩემი ამბავი ხანდახან მიაწვდინოს. მეჯინებელ დააყენეთ, ცხენების მგლა იცის. მეორე თხოვნა: დედას დაეხმარება წლამდის არ მოხდეს, რადგან მომავლეს წინაშე შევიფიცე წლამდის არ გავთხოვდე-თქო.

— პირველ თხოვნას სიამოვნებით შეგისრულებ, მეორეს... შენერდა შაპი. ასლამაზამ თავის მომზიბლველი თვალებით შემხადა. შაპს გააქარგოლა.

— მიმძიბს... მაგრამ რაღვან დავპირდები, უნდა შევასრულო თხოვნა. — ბრძანება გასცა ცხენები მოერთმით ასლამაზასა და მალხაზისათვის. ასლამაზამ მადლობა გადაუხადა შაპს, ბაბუსს მოეხვია, ყურში ჩასურჩულა: წლის თავზე განახვო.

— ბაბუს! ნუ იჯავრებ, ჩემ ამბავს მალხაზი გაცნობებს, ბავშვებს აკოცე ჩემ მაგიერ. — მერე ცხენზე შეჯდა, პირბადე ჩამოიფარა. მას ერთი გვერდით თენგიზი ამოუდგა, მეორე გვერდით მალხაზი და გასწიეს. მათ მიჰყვნენ მეფის მზღებლები.

სასახლეში ასლამაზას საცხოვრებლად რამდენიმე ოთახი მიუჩინეს. შაპმა უფროს საჭურის ფერმის დაავალა თვალყური ეციენებინა ასლამაზასათვის, მალხაზი მეჯინებელ დანიშნა.

შაპი ასლამაზას გახსენებაზე ყოველთვის შეკრთებოდა.

— ეპა, ამოიხრა მან, — ყოველი ხიფათის ასცდენად სხვის დროებით აქაურობას მოვზორდებ, მეზობელ ხანთან დაწყებული ომი განვავტოო, თორემ, თუ აქ დავიჩი, თავს ვერ შევიმაგრებ, პირობას დავებრძვივ.


გასცა ბრძანება ომში წასასვლელად მომზადებულიყვნენ. წასვლის დროს ასლამაზა ინახულა, ჰკითხა, ხომ არაფერი გაქვს სათხოველყო. ასლამაზამ სთხოვა ნება მიეცა ბაბუსთან მალხაზი გაეგზავნა, რაზედაც დასტური მიიღო. წავიდა თუ არა შაპი, ასლამაზა თავის საქმეს შეუდგა: მოიწვია მალხაზი, გაუხიარა განზრახვა თენგიზისაგან თავის დაღწევისა და ამისათვის ჯარის მომზადება დაეავალა, უჩრია მალხაზს თანაშემწე მიემხრო, შეესყიდა, როგორც თვითონ ფერმიდი მიიძხრო; ბაბუსთან დაბარა: მინდა დაპირება აგისრულოო.

რამდენიმე თვის შემდეგ შაპი ომიდან გამარჯვებული დაბრუნდა. ძვირფასი საჩუქარი ასლამაზას მიართევს. ასლამაზა სასახლის ქალების ამალით შაპის წინ წარსდგა, გამარჯვება მიულოცა.

— ასლამაზ! წელი გავიდა, ახლა უნდა დავკორწინდეო.

— დიდებულო მეფეე! მე დიდ ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ შენისთანა ძლიერი მეფის მეფელობა წილად მხედა! გთხოვთ ნება მომცეთ მეორედ გავგზავნო მალხაზი ბაბუსთან, რათა ჩემი ბედნიერების ამბავი გავაგებინო. — შაპმა ნება დაბოლო. ასლამაზამ ახლა მთელი გეგმა გადაუხადა მალხაზს.

დადგა თენგიზის სანატრელი დღე ლხინისა და მხიარულებისა. შაპმა გასცა ბრძანება: ყველა მის ქვეშევრდომს მონაწილეობა მიელო ლხინში.



— შხად ვარ ყოველივე თხოვნა შეგისრულო. — მე ობოლი ვარ, არც დედა მყავს, არც მამა. ჩემი აღმზრდელი და პატრონი ჩემი ბაბუაა, ის ჩემთან ვერ წამოვა, რადგან უმცროს ჩემს ძმის და დას ვერ მიატოვებს, ამიტომ გთხოვთ ჩემი ბიძაშვი-

სასახლე თითქო ცეცხლის ალში
გახვეულა. მთელ ქალაქში ჩირაღ-
დნები ღვებდაყვებენ. კიბე დალაყ-
ფის კარიდან დაწყებულა ზემო
სართულამდის ფარდაგითაა დაფა-
რული.

სასახლე საცხეა სტუმრებით.
მოუთმენლად ელიან მეფე-დედო-
ფალს. აი, ისინიც გამოვიდნენ.
ასლამაზა დედოფლის ტანისამოს-
ში, ათავგარ მოევარე, ძვირფასი
თვლებით შემკული, არაჩვეულებ-
რივად მომხიზბლველი იყო. რო-
გორც კი პირბაღე ჩამოიხადა, ყველას წამოსცდა:
„ოჰ! მეერ ერთი ხმით შესახვეს:

— გაუმარჯოს ჩვენს მზეთუნახავ დედოფალს!
ასლამაზამ პირბაღე ჩამოიფარა, დასდნენ მეფე-
დედოფალი და უნარბაი სტუმარი. შემოვიდნენ
მუსიკოსები და მოცეკვაელები, მიეცნენ უსახლგრო
მზიარულებას.

წაშუალამეს ასლამაზა მიაცილეს შაჰის ოთახა-
მდის. ფერმიდი კარის მცველად დადგა. მალე შაჰიც
მოვიდა. ასლამაზა მას მიეგება.

— დიდებულო მეფე! მე იქ მუნჯი ვიყავი, აქ
მინდა მოვიღიზნო. — თენგიზი სკამზე დასვა, ჩონგური
ხელში აიღო, დაუტყრა, დაამტერა. მისმა ტყბილმა
ხმამ მოხიზლა შაჰი, მან წამოიწია. ის მივარდა,
წელზე ხელი მოჰხვია, უნდოდა გულში ჩაეკრა. ას-
ლამაზამ მხარზე დაადო თავი, მომხიზლაგი თვალე-
ნებით თვალეში ჩააქურდა. შაჰს გონება დაუბნელ-
და, ხელეში მოუღუნდა. ასლამაზამ სწრაფად ამოი-
ლო სარტყლიდან დანა, გულში ჩასცა. შაჰმა ერთი
ხმამდლა ამოიოხრა და განგმირული დაცეა იატა-
კზე. შემოვარდა საჭურისი ფერმიდი, ასლამაზამ შა-
ჰზე უჩვენა გათავებულობა. კარი მავრად ჩააქეტინა,
შერე ფანჯარას მივარდნენ, გააღეს, ქვემოდან მა-
ლახმა თოკი ესროლა. ფერმიდმა ის დაიჭირა,
ფანჯარას მიაშვარა, ჯერ ასლამაზა ჩაუშვა თოკით,
შერე თვითონ ჩავიდა. იქ დახვდა მალახში თავისი
თანაშემწი. შესდნენ ცხენებზე და პატარა ქალაქი-
საკენ გაქანდნენ.

* *

გათენდა. მზე დიდხანია ამოვიდა. სასახლეში
ნაქტიფარი ხალხი ნელ-ნელა აიშალა. ბოლოს სასა-
ხლის უხუცესმა გამოიღვიძა. სასახლე დაათვალიერა.
შაჰის ოთახთან დარაჯი რომ არ დახვდა, გაუცვირ-
და, უბრძანა მოენახათ. რომ ვერ იპოვეს, კვლავ
შაჰის კარებზე მივარდნენ, კარებზე დააკაქუნეს.
ხმა არ მოისმა, კარები შეამტვრიეს და შიგ შევი-
დნენ. რას ხედავენ! შაჰი იატაკზე გვლი დანით
განგმირული. მეფის ძმას აცნობეს, რომელმაც ცხე-



ნოსანი ჯარი ვაგზენა სალუეთისა
სარდლებით ასლამაზას დასაქურდა.
ქალაქართ მთ დახვედა, ყველანი
მასა დიდი ცხენოსანი ჯარითა დასაქურდა
ურად გამოწყობილი. დაიწყო
ხელნართული ბრძოლა. ორივე მხა-
რე მამაცურად იბრძოდა. შემდეგ
კი ასლამაზას ჯარმა მიიტანა იე-
რიში, მტერს უკან დაახვეინა. მო-
პირდაპირე ჯარის სარდალი ასლა-
მაზასკენ გაეჭანა ხმალომწველი.
ამას მალახმა მოჰკრა თვალი,
დაეწია, ხმალს აჰკრა, ტარში

გადაუმტვრია, მერე ხმალი მოუქნია და თავი გააგ-
დებინა. მტერს ჯარმა რომ ეს დაინახა, უბრა იბ-
რუნა, გაიქცა. ასლამაზამ თავის ჯარს სთხრა:

— ნუ მისდევთ, თავი დაანებეთ: ისინი სირბი-
ლით ისე დაბრუნდებიან თავის ქვეყანაში, რომ უკან
არ მოიხედავენ. ახლანდელი მეფე არაა საშიში ჩვენ-
თვის: იმას ქეიფი და ლაზღანდარობა უყვარს, ომი
ქირიით ევაკრება. ჩვენთვის მაგენ და საშიში თენ-
გიზი იყო, ის აღარაა ცოცხალი, ახლა ჩვენ ბედ-
ნიერი, თავისუფალი ხალხი ვართ!

— ვაშა ასლამაზას, ვაშა! — შესძახა ხალხმა. —
შენ დაგვიხსენა მტარგალისაგან! — ასლამაზამ შეკრი-
კი ვაგზენა ქალაქში და უბრძანა:
— ახარე ჩვენი გამარჯვება.

შემდეგ მალა ასწიეს დროშები და მთელი ჯა-
რი მწყობრად დაიძრა. მათ წინ მიუძლოდნენ ასლა-
მაზა და მალახი.

მავე მოუახლოვდა ასლამაზა ქალაქს. მთებმა
კარი ფართედ გაუღეს. ხალხი ვაშას ძახილით მიე-
გება მას. უხუცესმა გამარჯვება მიულოცა:

— ასლამაზა! შენ მოგვაშორე ერთადერთი მტე-
რი, ახლა ჩვენ ბედნიერი ხალხი ვართ! ჩვენი დავა-
დგინეთ: ამ ქალაქს „ასლამაზას ქალაქი“ ვუწოდოთ
და შენ იყო პირველი სარდალი ჩვენი ჯარისა.

— ვაშა, ვაშა! — შესძახა ხალხმა.


— მალახობას მოგახსენებთ. მე გთხოვთ ჩემ
მაგიერ მალახში დანიშნოთ პირველ სარდალად,
გასაც თანაბარი სამსახური მიუძღვის. ეგ რომ არ
მომშველებოდა, მე მარტო ვერას ვაგზებდობდი.

დაეთანხმენ. ამ დროს ხალხმა დაინახა მხედარი,
ასლამაზასკენ ცხენს მოაქანებდა. მხედარი მოახლოვ-
და თუ არა, ასლამაზამ იცნო და აღტაცებით შესძახა:
— ბაბუ! — და გადახვია მოხუცს.

— შეილო! ხალხის განთავისუფლებამ და შენმა
დაბრუნებამ ცხენს მოაქანებდა. მხედარი მოახლოვ-
და დაგანაწალედი, ახლა ცხენით შემოგეგებე!

— ვაშა! — დაიგრიოლა ხალხმა.

— ვაშა! — დაიგუჟუნეს მთებმა და ბარბაც ბანი
მისცა.





ვარსკვლავის შვილი

(დასასრული)*

ვარსკვლავის შვილი ბაქიას გაჰყვა და, დახე, ბებერი მუხის ფულტროში თეთრი ოქროს ნაჭერი დაინახა, სიხარულით აღივსო და ხელი დასტაცა.

— ერთი-ათად გადახდილია სამსახური, რომელიც შენ გაგაწიე, და ერთი-ასად სიციეთე, რომელიც შენდამი გამოვიჩინე, — უთხრა ბაქიას ვარსკვლავის შვილმა.

— რა სათქმელია! როგორც მომეჩქეცი, ისე მოგმეჩქევი, — მიუგო ბაქიამ და გაკურცხლა, ვარსკვლავის შვილი კი ქალაქისაკენ გაუღდა ვახს.

ქალაქის შესავალთან კეთროვანი იჯდა. სახე ჭუჭყიანი ნარმით შეეფუთა, ქუთუთოებიდან თვალები ნაკვეთრისებრებით უღვლიდა. თავისკენ მომავალი ვარსკვლავის შვილი რომ დაინახა, ხის ჯამს დაჰკრა, თავისი ხარი აახშურა, დაუძახა და უთხრა:

— ერთი გროში მიწყალობე, შიმშილითა ვცვდები, ქალაქიდან გამომავლენს და არაგის გებრალები.

— ვაიმე! ქისაში მხოლოდ ოქრო მაქვს და ისიც თუ პატრონს არ მივუტანე, გამწყვლავს, მონა ვარ.

მაგრამ კეთროვანი არ მოეშვა, იქამდის ემუდარა, ვიდრე თავი არ შეებრალა და თეთრი ოქრო არ მიიღო.

როდესაც შინ დაბრუნდა, ჯადოქარმა კარი გაუღო, შეიყვანა და ჰკითხა:

- მოიტანე თეთრი ოქრო?
- არა, — მიუგო ვარსკვლავის შვილმა.

ჯადოქარი ეძგერა, სცემა, ცარიელი მივიდა და ფინჯანი დაუღვა, უთხრა ჰემე და სვით და ისევ ქვესკნელში ჩააგდო.

დილით ჯადოქარი მივიდა მასთან და უთხრა: — თუ დღეს ყვითელ ოქროს არ მომიტან, საშის წყებლას მიიღებ.

ვარსკვლავის შვილი ისევ ტყეში წავიდა, ყვითელი ოქრო მთელ დღეს ეძებდა, მაგრამ ვერსად იპო-

ვა. შხის ჩასვლისას დაჯდა და ტირილი მორთო. ამ დროს მასთან მივიდა მის მიერ განთავისუფლებული ბაქია და ჰკითხა:

- რა გატირებს, ან რას დაიქებ?
- ყვითელ ოქროს დავეძებ, — უპასუხა ვარსკვლავის შვილმა. — თუ არ ვიპოვე, პატრონი მცემს, მისი მონა ვარ.

— გამოწყე! — უთხრა ბაქიამ და გაიქცა, გუბემდის არბინა, გუბის ფსკერზე ყვითელი ოქრო ევლო.

— არ ვიცი, როგორ გადავიხადო მდლობა, ეს მეორედ დამეხმარე, — უთხრა ვარსკვლავის შვილმა. — მაგრამ ჰირველად ხომ შენ შემიბრალე, — თქვა ბაქიამ და მოკურცხლა.

ვარსკვლავის შვილმა ყვითელი ოქრო აიღო, ჯიბეში ჩაიღო და ქალაქისაკენ გაეჩქარა.

კეთროვანმა თავისკენ მომავალი რომ დაინახა, შესახებერად გაექანა, მუხლებზე დაეცა და შეევედრა:

- ერთი გროში მიწყალობე, შიმშილითა ვცვდები.
- ქისაში მხოლოდ ერთი ყვითელი ოქრო მაქვს, ისიც თუ პატრონს არ მივუტანე, მცემს და სულ მონად მიყოლებს.

იმდენი ემუდარა კეთროვანი, რომ თავი შეებრალა და ყვითელი ოქროს მიიღო.

ვარსკვლავის შვილი შინ დაბრუნდა. ჯადოქარმა კარი გაუღო, შეიყვანა და ჰკითხა:

- მოიტანე ყვითელი ოქრო?
- არა, — მიუგო ვარსკვლავის შვილმა.

ჯადოქარი მივიდა და სცემა, ბორკილი დაადო და ისევ ქვესკნელში ჩააგდო.

დილით ჯადოქარი შევიდა მასთან და უთხრა: — თუ დღეს წითელ ოქროს მომიტან, გავათავისუფლებ, არა და უთუოდ მოგკლავ.

ვარსკვლავის შვილი ისევ ტყეში წავიდა, მთელ დღეს ეძებდა წითელი ოქრო, ვერსად იპოვა, საღა-

* იხ. „პიონერი“ № 7 და 8.

მოით დაჯდა და მართალი ტირილი. ამ დროს მასთან ბაქია მივიდა და უთხრა:

— წითელი ოქრო, რომელსაც დაიქმბე, შენს ზურგს უკან რომ გამოქვაბულია, იქ არის; ნუ ტირი, ვაიხარე.

— რით გადაგიხადო? — უთხრა ვარსკვლავის შვილმა, — ეს უკვე მესამედ დამეხმარე!

— მაგრამ პირველად ხომ შენ დამეხმარე, — თქვა და გაკურცლა.

ვარსკვლავის შვილი გამოქვაბულში შევიდა და შორეულ კუნძულში წითელი ოქრო იპოვა, ჩაიღო ქისაში და გაეჩქარა ქალაქისაკენ.

დანიანა რა კეთილგანაზი მიმავალი ვარსკვლავის შვილი, გადაუღვა გზაზე და უთხრა:

— მომეცი წითელი ფული, თორემ მოვკვდები. ვარსკვლავის შვილს ისევ შეეცოდა და მისცა.

— შენ მეტად გიპირს, ვიდრე მე, — უთხრა მან, გული კი დაუქმშიდა, რაკი იცოდა, რა ბედით ელოდა.


ქალაქის კარებში რომ მიდიოდა, მცველებმა მორჩილების ნიშნად თავი მდაბლად დაუკრეს.

— რა მშვენიერია ჩვენი ბატონიშვილი! — ამბობდნენ ისინი. ხალხი უკან მისდევდა და იმეორებდა:

— მართლაც რომ ბაღალი არა ჰყავს სიღამაზეში.

ვარსკვლავის შვილი ატირდა:

— დამკინიან, აბუჩად მიგდებენ უბედურს, — ჩაილაპარაკა მან.



ხალხი გარს შემოეხვია ვარსკვლავის შვილს, მას გზა და კვალი აებნა და ბოლოს თავი ამოყო დიდ მოედანზე, რომელზედაც მეთის სასახლე წამოქმედებულიყო. სასახლის კარები გაიღო. ქალაქის მოძღვრები და წარჩინებულნი მიეგებნენ, მორჩილება აღუთქვეს და უთხრეს:

— შენ ჩვენი მეფის შვილი და ჩვენი ბატონი ხარ, რომელსაც ასე გელოდით!

— მე მეფისა კი არა, საწყალი მათხოვრის შვილი ვარ, — მიუგო მან. — ამის როგორ გამოვხადო? — ლამაზი ხარო, როცა ვიცი, რა უზნოც ვარ.

— როგორ ამბობს ჩვენი ბატონიშვილი თავის სიმახინჯეს, — თქვა და ფარი აღმართა ოქროს ყვავილებით მოქვილი იარაღში ჩამჯდარმა კაცმა, რომლის მუხარადზეც ფრთებშესხმული მწოლიარე ლომი იყო გამოხატული.

ვარსკვლავის შვილმა ფარში ჩაიხედა და დახე მის ბედნიერებას: სახე ძველებურად ლამაზი ჰქონდა, მშვენიერება დაპბრუნებოდა. თვალეში ისეთი რამეც კი შენიშნა, რაც წინათ არასოდეს ჰქონია.

მოძღვრებმა და წარჩინებულებმა მის წინ მუხლი მოიყარეს და უთხრეს:

— ძველი ნაწინასწარმეტყველები, რომ დღეს ჩვენი მომავალი მმართველი უნდა მოსულიყო, აღსრულდა. მიიღოს ჩვენმა ბატონმა ეს გვიარგვინი და კვერთხი, იმეფოს ჩვენზე სამართლიანმა და მოწყალემ!

— არა ვარ ღირსი; მშობელი დედა დაგვმე, ვერ მოვიცვენებ, სანამ არ ვიპოვი და მისგან პატიებას არ მივიღებ. გამიშვით, წავიდე და ქვეყანა კვლავ მოვიარო; თუმცა გვიარგვინსა და კვერთხსა მთავაზობთ, მაგრამ მაინც ვერ დავრჩები.

თქვა და პირი იბრუნა იმ ქუჩისაკენ, რომელიც ქალაქის გალავნისაკენ მიემართებოდა და, დახეთ, რა ნახა: ჯარისკაცების ირგვლივ შემკიდრობებულ ხალხის გროვაში მათხოვარი დედაკაცი იდგა, მას გვერდში ამოსდგომოდა კეთილგანაზი, რომელიც გზის პირას იჯდა ხოლმე.

სისარულის ამოძახილი მოსწყდა მის ტუჩებს, მიიბრინა და მუხლი მოიყარა, დედას დაწულულეული ფეხები დაუკოცნა და ცრემლებით დაუსველა, თავი მიწამდის დახარა და აქეთიონდა, გვერდებოდათ, ეს არის გული უნდა გაუსკდესო.

— ამბარტანობის დროს დაგვმე, დედიკო, ახლა თავმდაბალი ვარ, მიმიღე! მე მოგაძულე, მაგრამ მაინც გიყვარდე, მე ხელი გკარი, მაგრამ მაინც მიიღე შენი შვილი!

მათხოვარმა ხმა არ გასცა. ვარსკვლავის შვილმა ხელები გაიწოდა და კეთილგანაზის თვით ფეხებს შემაკლდა.

— სამჯერ გაგიკითხე და ერთხელ მაინც სთხოვე დედას ხმა გამცეს.

კეთილგანაზიც არა უპასუხა რა.

ვარსკვლავის შვილი კვლავ აქეთიონდა და თქვა:

— ჩემი წამება ჩემს ძალღონეს აღმატება, მამატიე და ისევ ტყეში წავალ!

მათხოვარმა დედაკაცმა თავზე ხელი დაადო და უთხრა ადექო. კეთილგანაზიც ასევე მოიქცა.

ვარსკვლავის შვილი ფეხზე წამოდგა და ორივეს შეხედა: მის წინ მშვენიერ-დღელოფალი იდგა!

— ეს მამაშენია, რომელსაც შენ დაეხმარე, — უთხრა დედოფალმა.

— ეს დედა შენი, რომლის ფეხებიც შენ ცრემლებით განზანე, — უთხრა მემფე.

მეფე-დედოფალი შვილს ვადაღებებენ, გადააკოცნეს და სასახლეში შეიყვანეს, საუცხოოდ შემოსეს, თავზე გვირგვინი დაადგეს და ხელთ კვერთხი მისცეს. მდინარის პირს გაშენებულ ქალაქს ფლობდა და მართავდა ვარსკვლავის შვილი. მოწყალე და სამართლიანი მეფე იყო ყველასადმი: მოსოკოტი გრძნეული გააძევა, შემოსმქრელსა და მის ცოლს მრავალი ძვირფასი საჩუქარი გაუგზავნა, მათ შვილებს კი აღიდგა უბოძა; ვერავისაგან იტანდა ფრინველისა

და ცხოველისადმი ავად მოაყრობას, ხიყვაროს, ლომობერებასა და შეწყალვებს ასწავლიდა, უბრალო აპურებდა, შიშველთ მოსავდა. მის სუკველუბელებში სიშვეიდემ და სიუხვემ დაისადგურა. მაგრამ ხანმოკლე იყო მისი მეფობა: იმდენი რამ გადახდა. ისეთ ცნებლის ალში გაიარა, ვიდრე გამოიცდიდებოდა, რომ სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ის კი, ვინც მის შემდეგ მეფობდა, ბოროტად განავებდა.

ინგლისურიდან თარგმნეს: თინა თუმბალიშვილმა და მაცვალა ყოფიქიმმა

ო. ე. რეპინი

მოულოდნელი ამბავი მოხდა მოსკოვის ტრეტაკოვის გალერეაში 1913 წლის ერთ დღეს. სურათს იგანე შრისხანე და მისი შვილი იგანე თვალჩერებისას, დამსწრემ, უნებ ბალაშოვმა, ჯრბის დანით რამდენიმე ჭრილობა მიაკურნა.

როგორც გამოირკვა, „დაზნაშავე“ ბალაშოვი ნერვიული ავადმყოფი ყოფილა, მაგრამ მომხდარი ინციდენტი მართო ამ მიზეზით არავის არ აღუხსნია და არც შეიძლებოდა მხოლოდ იმით ახსნილიყო.

მომხდარი ფაქტის უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი ის იყო, რომ სურათი იგანე შრისხანე და მისი შვილი იგანე მხატვრის მიერ გადმოცემულია იმდენად ძლიერად და დამაჯერებლად, რომ მის მნახველს თვალწინ ტილოსა და ფერადი საღებავების ნაცვლად ცოცხალი ადამიანები და საგნები ესახება. და საკმარისია იოდნავ, ზომიერ მეტო თავდავიწყება, რომ მნახველის გონებამ ისეთივე რეაქცია გა-

ნივადოს, როგორც ბალაშოვმა განიცადა.

ამ დიდდარი მხატვრული ტილოს ავტორი გახლავთ ცნობილი დიდი რუსი მხატვარი — ილია ეფიმი-მე რეპინი. მის დიდ ნიჭს ეკუთვნის სხვა ტილოებიც, რომელთაც ახლა თითქმის მთელი მსოფლიო იცნობს, ასეთებია: „იგანე შრისხანე და მისი შვილი იგანე“, „ბურლაკები“ (გემის მუშები), „ზაპოროჟელები“ და სხვ.

რეპინმა 1873 წლის მაისში პირველად მიიღო მონაწილეობა მსოფლიო გამოფენაში ქალაქ ვენაში, სადაც რუსული განყოფილების სხვა ექსპონატებს შორის განსაკუთრებული მოწონება დამისახურა მისმა „ბურლაკებმა“.

რეპინის როგორც პირადი ცხოვრება, ისე შემოქმედება ფრიად მრავალგვაროვანია. თუ ჩვეულებრივი მხატვრებისათვის ე. წ. შემოქმედებითი სახე 5 მანე-

რით (მიდრეკილებით) ამოიწურება, რეპინის მხატვრობა ათი მანერითაა ცნობილი.

ამ დიდი ნიჭისა და ენერჯიის მქონე ადამიანს ერთი წუთითაც ვერ წარმოედგინა თავისი თავი შემოქმედებითი ცნებლის გარეშე. ის ყველგან და ყოველთვის მუშაობდა, მუშაობდა დაუღალავად და როდესაც თავაუღებელი მუშაობისა და მოხუცებულობისაგან რეპინს მარჯვენა ხელმა მშობა დაუწყუა, მან მაშინვე ისწავლა მარცხენა ხელით ხატვა, რათა არც ერთი წუთით არ მოსწყვეტოდა მხატვრობას. ხოლო რთაც მეტრისმეტო სისუსტისაგან მას ხელით პალიტრის დაჭერა აღარ შეეძლო, სპეციალური ქაჩარები ჩამოიკიდა პალიტრა მხარზე და იმით მუშაობდა დიდიდან გვიან ლამედის.

რეპინი დაიბადა 1844 წ., გარდაიცვალა 1930 წლის 29 სექტემბერს.



ლ. ტოლსტოი მინდორში სამუშაოზე. მხატ. ი. რეპინი.



ყარაულები და მონები

შორეულ წარსულში, რომელიღაც ლაშქრობის დროს, სამხედრო სარდლის კარავს სდარაჯობდნენ მის ირგვლივ რვა პატარპატარა კარავში მყოფი მეომრები.

პირველად ისინი სამ-სამი მოათავსეს თვითეულ კარავში, ხოლო შემდეგ უფლება მისცეს ნებისმიერ გადასულიყვენ კარავებში ერთიმეორესთან.

ხოლოდ ერთს მოითხოვდნენ: რომ კარავებში თვითეულ რიგზე (სამ კარავში) ყველა მხრიდან ყოველთვის ყოფილიყო 9 მეომარი. ამას დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ყარაულის უფროსი.

ერთხელ საღამოთი ოთხი ყარაული გაიბარა, და ეს ყველასთვის შეუმჩნეველი დარჩა, რადგანაც შემოწმებისას ყველა რიგზე აღმოჩნდა ცხრა-ცხრა მეომარი; მეორე დღესაც გაიპარა ექვსი მეომარი, და ესეც კვლავ არავის არ შეუმჩნევია. ამის შემდეგ მეომრები უფრო გათამამდნენ: დაიწყეს თავისთან სტუმრების მოპატიება, მიუხედავად სასტიკი აკრძალვისა. პირველად მათ მოიწვიეს ოთხი სტუმარი, მეორედ — რვა, ბოლოს — თორმეტი.

ყველა ეს ოინი შეუმჩნეველი დარჩა, რადგანაც შემოწმებისას ყარაულის უფროსი ერთი რიგის სამ კარავში ყოველთვის ნახულობდა 9 მეომარს.

რანაირად ჩაიღოდნენ მეომრები ამ ოინებს?



სხად გააკეთო!

- ა) მარჯვენა და მარცხენა ხელის საჩვენებელი თითები დააყენეთ ურთიერთის მოპირდაპირედ.
- ბ) მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი აბრუნეთ ქვევიდან ზევით.
- გ) მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი აბრუნეთ ზევიდან ქვევით.
- დ) ახლა შეეცადეთ ზემოაღნიშნული წესის მიხედვით ორივე თითი აბრუნეთ ერთსადიმივე დროს.



გაოთხა ზოკითხალი

ორმა მამამ და ორმა ძმამ იყიდა სამი ფორთოხალი, მათ ეს ფორთოხლები ისე გაინაწილეს, რომ თვითეულს შეხვდა მთელ-მთელი. გამოიცანით, საიდან გაჩნდა მეოთხე ფორთოხალი?